ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

სექტორის ზოგადი მიმოხილვა

ზოგადი სტატისტიკა

2015-2018 წწ. სოფლის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში მცირედით, 42.6%-დან 41.7%-მდე შემცირდა. სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში ასევე შემცირდა 9.3%-დან 2014 წელს 8.2%-მდე 2017 წელს. გამოშვებული პროდუქციის თვალსაზრისითაც, სექტორში შეინიშნება კლება. ასე 2017 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება შემცირებულია 2.1%-ით წინა წელთან შედარებით. მემცენარეობაში ფიქსირდება 0.4%-იანი შემცირება წინა წელთან შედარებით, ხოლო მეცხოველეობაში – 3.8%-ანი კლება. წარმოების დონის შემცირება აისახა თვითუზრუნველყოფის კოეფიცინტებზე, რომელთა უმეტესობაც ასევე შემცირებულია.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები 2017 წელს შემცირებულია 2014-2016 წლების მონაცემებთან შეადრებით, როგორც პროცენტული, ისე აბსოლუტური მნიშვნელობით. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ წარმოების დონის შემცირებამ გამოიწვია გაყიდვების შემცირებაც. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების შემცირება შესაძლებელია გამოწვეული იყოს იმითაც, რომ შინამეურნეობები სხვა წყაროებიდან იღებენ შემოსავლებს, თუმცა, ვინაიდან მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრები 2017 წელს არ დაფიქსირებულა, აღნიშნული შემცირების მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, წარმოების შემცირებაა.





წყარო: საქსტატი, 2018

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე შემცირებულია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კომერციალიზაციის დონე სექტორში იზრდება. კერძოდ, მცირდება ოჯახური მეურნეობების წილი და იზრდება საწარმოების წილი პროდუქციის წარმოებაში. ეს ტრენდი განსაკუთრებით აქტუალურია მეცხოველეობაში, სადაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საწარმოების წილი 21%-დან 27%-მდე გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროკაშირთან დაახლოების გამო, სწორედ ამ სექტორში დაინერგა და მომავალშიც იგეგმება სურსათის უვნებლობის ბევრი ახალი რეგულაცია, მომავალში მოსალოდნელია ამ სექტორში კომერციალიზაციის დონის უფრო სწრაფი ტემპებით ზრდა. რაც შეეხება მემცენარეობას, აქაც 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, გაიზარდა საწარმოების წილი, თუმცა სტაბილური ტრენდი აქ არ შეინიშნება.





წყარო: საქსტატი, 2018

ფასები

ადგილობრივი ფასები

წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ფასების დონე სტაბილურად შენარჩუნდა; 2018 წლის მაისში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) არ შეცვლილა, 2018 წლის აპრილთან შედარებით. ხოლო 2017 წლის მაისთან შედარებით, სფი 2.5%-ით გაიზარდა.

2018 წლის მაისში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასები, წინა თვესთან შედარებით, შემცირდა 0.7%-ით, რამაც სფი -0.22 პროცენტული პუნქტით შეამცირა. სფი-ის ცვლილებაზე ძირითადი გავლენა შემდეგმა ჯგუფებმა მოახდინა:



* რძე, ყველი და კვერცხი (-6.6% ↙)*

ხილი და ყურძენი (4.0% ↗)

ბოსტნეული და ბაღჩეული (1.7% ↗)

წყარო: საქსტატი, 2018

2018 წლის მაისში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასები 1.8%-ით გაიზარდა, წინა წლის მაისთან შედარებით, რაც წლიურ ინფლაციის მაჩვენებელში 0.56 პროცენტული პუნქტით აისახა.

ყველაზე დიდი პროცენტული ცვლილება წინა წლის მაისთან შედარებით განიცადა სურსათის შემდეგმა ჯგუფებმა:



ხილი და ყურძენი (21.6% ↗)

ზეთი და ცხიმი (4.6% ↗)

თევზეული (4.0% ↗)

წყარო: საქსტატი, 2018

უფრო ვრცლად კარაქის ფასებზე

2018 წლის მაისში ზეთისა და ცხიმის ქვეჯგუფში შემავალი პროდუქტების ფასები 4.6%-ით გაიზარდა წინა წლის მაისის თვესთან შედარებით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემების მიხედვით, ძირითადი გავლენა კარაქისა და სპრედის ფასებმა მოახდინა, რომელიც 12%-ით გაიზარდა. როგორც დიაგრამაზე ჩანს, ფასები მცირედით გაიზარდა შემდეგ პროდუქტებზე: ნიგოზი (3%), მაიონეზი (2%) და მზესუმზირის ზეთი (1%). ამასთან, უმნიშვნელოდ შემცირდა მარგარინის ფასი (-1%). კარაქის ფასების ზრდის მიზეზი, შესაძლოა, საერთაშორისო ფასების ზრდა იყოს. საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემების მიხედვით, 2018 წლის იანვრიდან მსოფლიოში კარაქის ფასი იზრდებოდა წინა წელთან შედარებით. ასევე შესაძლებელია, რომ რძის სექტორში მიმდინარე სტრუქტურულმა ცვლილებებმა დამატებითი გავლენა იქონია კარაქის ფასებზე. 2017 წლის 1 ივლისს „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში“ ცვლილებები შევიდა, რომელმაც, შესაძლოა, გაზარდა კარაქის წარმოების ხარჯები.

მწარმოებლებმა უნდა დაიცვან გამკაცრებული ნორმები და მათ არ შეუძლიათ, პროდუქტის ეტიკეტზე დააწერონ კარაქი, თუ ის შეიცავს მცენარეულ ან სხვა სახის ცხიმს.



წყარო: საქსტატი, 2018

საერთაშორისო ფასები

2018 წლის მაისში სურსათის საერთაშორისო ფასები გაიზარდა. ამ პერიოდში სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, 2017 წლის მაისთან შედარებით 1.9%-ით გაიზარდა. სურსათის ფასების ცვლილება ძირითადად შაქრის, მარცვლეულისა და რძის პროდუქტების ფასების ცვლილებამ განაპირობა. 2018 წლის მაისში, FAO-ის შაქრის ფასების ინდექსმა დაღმასვლა განაგრძო და მკვეთრად შემცირდა 23.1%-ით წინა წლის მაისთან შედარებით, რაც ბრაზილიაში შაქრის ლერწმის კარგი მოსავლითა და წარმოების ზრდის მოლოდინებითაა გამოწვეული. ამასთან, 2017 წლის მაისთან შედარებით, FAO-ის მარცვლეულის ფასების ინდექი 16.8%-ით გაიზარდა, FAO-ის რძის პროდუქტების ფასების ინდექსი კი – 11.5%-ით.



წყარო: FAO, 2018

ვაჭრობის სტატისტიკა

2018 წლის მაისში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა (მათ შორის საკვები პროდუქტებიs) 68 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს მთლიანი ექსპორტის 27%-ს შეადგენს. აღნიშნული რიცხვი 39%-ით მეტია 2017 წლის მაისის იმავე მაჩვენებელზე. იმპორტზე დაკვირვებისას კი დადგინდა, რომ 2018 წლის მაისში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი 100 მლნ. აშშ დოლარი იყო, რაც საქართველოს მთლიანი იმპორტის 27%-ს შეადგენს. გასული წლის მაისთან შედარებით, მიმდინარე წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი 6%-ით გაიზარდა.





წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემები; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი/იმპორტი მოიცავს საკვები პროდუქტების ექსპორტსაც/იმპორტსაც

ექსპორტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში (მათ შორის დიდ ბრიტანეთში) 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, 5%-ით გაიზარდა, თუმცა 2017 წელს დაფიქსირდა 38%-იანი კლება. ეს ძირითადად გამოწვეულია თხილის ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირებით (64%) აღნიშნულ პერიოდში. აღსანიშნავია ისიც, რომ თხილის ძირითადი საექსპორტო ბაზარი სწორედ ევროკავშირის ქვეყნებია. მიმდინარე, 2018 წელს, მაისის თვის ჩათვლით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირში 61 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრ ქვეყნებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი ბოლო წლების განმავლობაში იყო მზარდი – 2016 წელს დაფიქსირდა 2%-იანი, 2017 წელს კი 37%-იანი ზრდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების (ღვინო – 61%-ით, სპირტიანი სასმელები – 28%-ით, მინერალური და გაზიანი წყლები – 22%-ით) გაზრდილი ექსპორტით. მიმდინარე, 2018 წელს, მაისის თვის ჩათვლით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში 159 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.



წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემები
შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი მოიცავს საკვები პროდუქტების ექსპორტსაც

იმპორტი

განსხვავებით ექსპორტისგან, როგორც ევროკავშირთან, ისე დსთ-ის ქვეყნებთან ვაჭრობისას, იმპორტში არ არის მნიშვნელოვანი ცვლილებები ბოლო წლების განმავლობაში. მიმდინარე, 2018 წელს, მაისის თვის ჩათვლით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი ევროკავშირსა და დსთ-ის ქვეყნებში შეადგენს 109 და 230 მლნ. აშშ დოლარს, შესაბამისად.



წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემები;
შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტი მოიცავს საკვები პროდუქტების იმპორტსაც

პოლიტიკის მიმოხილვა

ფაროსანასთან ბრძოლა გრძელდება

სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მავნებელი ფიქსირდება, წამლობა თერმული ნისლის ტექნოლოგიით და ცივი შესხურებით ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ამ დროისთვის თერმული ნისლის ტექნოლოგიით შეწამლულია 200 ათასამდე ჰექტარი, ცივი შესხურებით – 5200 ჰექტარი, ღონისძიებები ჩატარდა 22 მუნიციპალიტეტის 382 სოფელში.

მეტი ინფორმაციისთვის: https://abasha.com.ge/pid=440/lang=ka

მეფუტკრეობის კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყო

მეფუტკრეობის კოოპერატივების ხელშეწყობის მიზნით, კიდევ ერთი პროგრამა იწყება.
„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის მეფუტკრეობის მომთაბარეობის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოოპერატივები 40%-იანი თანადაფინანსებით მიიღებენ მისაბმელს სკების ტრანსპორტირებისათვის.

მეტი ინფორმაციისთვის: http://agrokavkaz.ge/axali-ambebi/mephutkreobis-kooperativebis-mkhardatcheris-programashi-registratsia-daitsqho.html

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი – აგრარული პოლიტიკის კვლევითი ცენტრი
http://iset-pi.ge/index.php/en/research/aprc

ავტორები:
სალომე გელაშვილი: s.gelashvili@iset.ge
ნინო კაკულია: n.kakulia@iset.ge
სალომე დეისაძე: s.deisadze@iset.ge